

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მასპოზნიკაცია
სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების
გამოყენების პირობებში**

ოთარ შონია, თემურაზ ჯაგოდნიშვილი, კორნელი ოდიშარია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირებაში თანდათანობით მკვიდრდება ევრო-ამერიკული მედია-სტანდარტები და პროფესიული პრინციპები. უხელესი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ფუნქციონირების შედეგად გაჩნდა ცნებები “ელექტრონული კომერციის”, „ქსელური ეკონომიკის”, „ელექტრონული მთავრობის” და ა.შ. მათ დაარღვიეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საუკუნოვანი მონოპოლია ინფორმაციის შექმნა-გავრცელების სფეროებში. გაჩნდა ინფორმაციის კეთების აღტერნატული არხები “ელექტრონული მთავრობის” ინფორმაციული არხებისა და ინფორმაციის სისტემური ნაკადების სახით. აღნიშნულმა ტენდეციებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ინფორმაციული სივრცის სტრუქტურა, დაარღვიეს მისი მთლიანობა. ამის ერთ გამოხატულებად წარმოსდგა პუბლიკისტიკის ენის ტრადიციული სტანდარტების მსხვრევა, ტერიტორიული და სოციალური დააღექტების, ასევე უცხოოსნოვანი ლექსიკის შექრა-დამკვიდრება.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი კომუნიკაცია. ინფორმაციული სივრცე. ინფორმაციული ტექნოლოგიები. ელექტრონული მთავრობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონცენტრაცია-მონოპოლიზაცია. ინფორმაციული სივრცის რღვევა. ენობრივი ცნობიერების პარადიგმის ცვლა.

1. შესავალი

თანამედროვე ქართული მასობრივი კომუნიკაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჯერაც სრულყოფის პროცესშია, ევრო-ამერიკულ მასკომუნიკაციურ ღირებულებებზე დაფუძნებით იმენს ფორმასა და შინაარსს. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოჭრაც: იცვლება ინფორმაციული სივრცის სტრუქტურა, ინფორმაციის კეთება-გავრცელების ფორმები, ენობრივი (ლექსიკა), სამეტყველო სტანდარტები, მასმდინ ინფორმაციული მონოპოლიზმი და ა.შ. ამ მოვლენათა გამოვლენა და შესწავლა ინფორმაციებისა და მასკომუნიკაციის კვლევების აქტუალურ ამოაცანებს წარმოადგენს. ამაში მდგომარეობს წარმოდგენილი სტატიის შეცნიერული სიახლეც.

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ქართულ მასკომუნიკაციას წარმოდგრები XX საუკუნის 90-იან წლებში ეძებნება, რადგან სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდა დემოკრატიული მასმდინ ის ტენდენციების არსებობა. ქართული სახელწიფოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერული, საგანმანათლებლო ევრო-ამერიკული სივრცეებისაკენ შებრუნებამ და მათში ინტეგრირების პროცესებმა შეცვალა ქართული ინფორმაციული სივრცე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირებაში კა გააღრმვა თანამედროვე მასმდინ ტენდენციები და ხელი შეუწყო ევრო-ამერიკული მედიასტანდარტებისა და პროფესიული პრინციპების დამკვიდრებას. ამან ქართული ინფორმაციული სივრცე, მასობრივი კომუნიკაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ერთი მხრივ, მეტად დაახლოვა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებებთან და, მეორე მხრივ, თავად შეუწყო ხელი სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობითი პროცესების აქტუალიზაციას. ცნობილია, რომ ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები XXI საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე ზემოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ზემოქმედება მოიცავს ცხოვრების წესს, განათლებას, სამუშაოს, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობისა და ა.შ.

თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დამკვიდრების შედეგად გაჩნდა ისეთი ახალი ცნებები, როგორიცაა „ელექტრონული კომერცია”, „ქსელური ეკონომიკა”, „ელექტრონული მთავრობა” და სხვ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და სახელმწიფო მართვაში მათი გამოყენების პრაქტიკის დანერგვა ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირებაში კიდევ უფრო ღრმა, თვისებრივ თვისებებს ამკვიდრებს. მხედველობაშია ხელისუფლების ინფორმაციულ სივრცესთან ინტეგრირების ის და იმგვარი პროცესი, რომლის შედეგადაც სახელმწიფო (ხელისუფლება)

ინფორმაციულ სიგრცეში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მონაწილე ხდება, სხვაგვარად გარკვეული აზრით, თავად ხდება ინფორმაციის მწარმოებელი და გამავრცელებელი. აღნიშნულის მიზეზი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაში ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების შეჭრაა, უფრო ზუსტად, ამ ტექნოლოგიების სახლისუფლებო სტრუქტურათა მიერ ინტენსიური გამოყენება, რის საფუძველზედაც იცვლება თავად ხელისუფლების ფუნქციონირების პარადიგმა და მკვიდრდება „ელექტრონული მთავრობის“ ცნება. „ელექტრონული მთავრობა“ ტრადიციული უურნალისტიკის მაქსიმას – „მეოთხე ხელისუფლების“ – პრეტიკული რეალიზების ახალი მარკერია. იგი ცხადყოფს, რომ უურნალისტიკა კი არ „იჭრება“ ხელისუფლების საქმიანობაში და ამის გამო მასშედია კი არ იძნეს ხელისუფლების მეოთხე განშტოების სტატუსს, არამედ თავად ხელისუფლება უუფლება თანამდეროვე მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციებს და სტატუსს.

ცნობილია, რომ „ელექტრონული მთავრობის“ კონცეფცია გულისხმობს ხელისუფლების ინტეგრირების მცდელობას თანამედროვე საზოგადოების ინფორმაციულ ურთიერთობებში. ამ მოვლენაში კი მნიშვნელოვანი ის არის, რომ როგორც აღნიშნავნ კიდევაც, თანამედროვე საზოგადოებაში ხელისუფლების მხრივ სტრატეგიული გადაწყვეტილების სიჩქარე და შესაბამისი მუშაობა საჭირო რესურსების (ინტელექტუალური და ინფორმაციული) მობილიზებისათვის ბევრად აღმატება ამ პროცესის სიჩქარეს ინდუსტრიული საზოგადოების სინამდვილეში. ეს მოვლენა კი სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში პროცესების იერარქიას განსაზღვრავს, კერძოდ, მატერიალური წარმოებისა და მოხმარების სფეროში მიმდინარე პროცესებს ინფორმაციულ-ფინანსურულ სფეროში მიმდინარე პროცესებზე დამოკიდებულ სოციალურ პროცესებად გადააქცევს. ეს პროცესი შემჩვენები კადევ უფრო გაღმამდებება, რადგან უკვე დღეს ინფორმაციული პროცესების სიჩქარე ბევრად აღმატება სოციალურ პროცესებს. თანამედროვე ინფორმაციული სივრცის არსებით მახასიათებლებად კი მიჩნეულია მრავალდონანი არქიტექტურიკა, მიკრო და ნანო ტექნოლოგიებზე დამყარებული, ცირკულირებადი ინფორმაციის ვებბრუთლა ნაკადი, დიდი მოცულობის ცოდნა და მისი შესაბამისი ინტელექტური პოტენცია, მუდმივი ცვალებადობა. სწორედ ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევით ხსნიან ხელისუფლების ინფორმაციულ სფეროში სრულმაშტაბიანი ინტეგრირების გამიზნულობას, – საზოგადოებრივი ურთიერთობების სახელისუფლებო რეგულირების ტრადიციული მეთოდების ახალ პირობებთან ადაპტაციის მცდელობას, და საბოლოოდ ინტეგრირების ისეთი ფორმების გამოძენას, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების ჩარევას ინფორმაციულ სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში.

მართალია, ხელისუფლების ორგანოებს კანონი არ ანიჭებს მოსახლეობის უშუალოდ ინფორმირების უფლებას და ტრადიციულად ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მასობრივ კომუნიკაციას ეკისრება, მაგრამ დღეს ამ უკანასკნელებს მძლავრი კონკურენტი გაუჩნდათ, რადგან ხელისუფლების ინფორმაციულ სფეროში ინტეგრირება პროცესებალურად „ელექტრონული მთავრობის“ პოზიციიდან მოსახლეობასთან პირდაპირი ურთიერთობის ოპერატორული არხის შექმნაში გამოიხატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მასკომუნიკაციას ისეთი კონკურენტი უჩნდება, რომელსაც ხელისუფლების ორგანოთაგან მოსახლეობისათვის გადაცემული ინფორმაციის სიზუსტისა და ობიექტურობის განსაზღვრის ბოლო ინსტანციის უფლება აქვს მინიჭებული.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კარგავნ ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობას, რადგან ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობის ხარისხის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაშია შესაძლებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს საიტზე. ამ გარემობას დღეს პირიცაპულზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების შედეგად სულ უფრო ღრმავდება მათში ძალაუფლების კონცენტრირების პროცესი და ამას ხელს ტენიკურთან ერთად ობიექტური ეკონომიკური პროცესებიც უწყობს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მასობრივი კომუნიკაციის ხელში ძალაუფლების კონცენტრირების პროცესი იმდენად სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყნაში (მაგალითად, ევროპაში) დაწესებულია კონტროლი ბეჭდვით როგორით შეწყმაზე და, ერთი მხრივ, დადგენილია გამოცემათა საერთო ტირაჟის ზედა ზღვარი, მეორე მხრივ, ტარდება წვრილი და საშუალო გამომცემელთა მხარდაჭერის პოლიტიკა. ამგვარი გამამატებული ინტერესისა და ყურადღების მიზეზი, ცხადია, უპირველესად ისაა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ ინფორმაციის გადაცემები კი არ არიან, არამედ ინფორმაციის შემომქმედიც. ჩვენ, თანამდეროვე რეალობაზე წარმოდგენას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიწოდებული ინფორმაციით იქმნის. ამიტომ ეს რეალობა გაშუალოებულია (მედია ვერსია), თანაც ისე, რომ ობიექტური და მედიავერსიების განსხვავება საკმაოდ მნელია. მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ რეალურად მომხდარი ფაქტი, მოვლენა, ხდომილება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტად, მოვლენად, ხვდომილებად გადაიქცევა მხოლოდ საკუთარი მედია ანარეკლით და ამის გამო ამ ანარეკლში უმრავი „კონკურენციის“ შეტანის შესაძლებლობაც იქმნება. ამ შესაძლებლობათა რეალიზების სტიმულატორს კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საბაზო კონკურენციის გარემოში ფუნქციონირებაც განაპირობებს,

რომელიც მიმართულია მოგების ზრდის, საინფორმაციო ბაზარზე მონოპოლიურობის მოპოვების, მეპატრონეთა გამიზნულობების მაქსიმალური რეალიზებისაკენ. აღნიშნულ განსაზღვრულობათა რეალიზება კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობაში ისეთი პრინციპების დამკვიდრებას განაპირობებს, როგორიცაა:

- ორიენტაცია მაქსიმალურ მოგებაზე და ამ პრინციპის ქცევა საკუთარი არსებობის საფუძვლად;
- ოქმატიკის განსაზღვრა მოგების და აუდიტორიაზე ზემოქმედების პრინციპით;
- მიღრეკილება სენსაციური, მათ შორის გამოკვეთილად წევატიური, ინფორმაციის გავრცელებისადმი;
- ხშირი წარმოჩენა – დემოსტრირება პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა, წარმატებებისა, რეიტინგებისა;

• ეკრანზე უმეტესად ცნობილი და ცნობადი სახეების ჩვენება და მათი სტატუსის ხაზგასმა;

• მასობრივი უნივერმაციის საშუალებათა მიუწვდომლობა ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის;

• მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ემოციური ზემოქმედებით ადამიანის გონისა და რაციონალიზმის დათვალისწინების ინტენციათა მაღალი ეფექტურობით გამოყენება – ადამიანების შემცირებისა და ქცევის ფარული მართვა, ხშირად მათვის შეუმჩნევლად მათი ნების საწინააღმდეგო ქცევების ინსპირირება;

• ინფორმაციული გაბრუება და ადამიანებისათვის მითებისა და ილუზორული იდეების თავსმოხვევა; მითოლოგიზმების ეფექტურობისათვის ლინგვისტიკური და ზემოქმედების სხვა ხერხების გამოყენება მასობრივი ფსიქოლოგიის მონაცემთა გათვალისწინებით, განსაკუთრებით „იმიჯმეიკონგი“.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია, ინფორმაციული სივრცის მაკონტროლებელი, ნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნა, ძირითადი მედიასახსრების მოქცევა ცალკეული ჯგუფების ხელში თანამდროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და მასკომუნიკაციის ფუნქციონირების სტერიტული წარმოადგენს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზმის პროცესის აქტიურ სუბიექტთა შორის ჩნდება ახალი მოთამაშე – ხელისუფლება, უფრო სწორად, სახელისუფლებო WEB საიტის შემოქმედებითი ჯგუფი, ან ხელისუფლების ორგანოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურა – პრესამსახური, რომელიც WEB საიტის ეფექტურობით „ადგიროვანებული“ ახალი ინფორმაციული არხების შექნის მაზანშეწონილობაში რწმუნდება. ინფორმაციით მოსახლეობის მანიპულირების ერთ ფორმას წარმოადგენს ე.წ. ფსევდოპოპოზიციური ინფორმაციის საშუალებების შექმნის ტენდენციაც, ანუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციული სივრცის თემატურ-პრობლემური პრინციპით დაფარვა.

თანამდეროვე ქართულ სინამდვილეში, პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნების (მათ შორის რუსეთის ფედერაციის) მსგავსად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზმის პროცესებთან ერთად, მიმდინარეობს ერთიანი ინფორმაციული სივრცის რღვვევის პროცესიც. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის ერთი ისაა, რომ ტელეკარხები, არათანაბარი ტელეკომუნიკაციური შესაძლებლობების გამო, მთლიანად ვერ ფარავნ საინფორმაციო სივრცეს. ამის გამო, მათი მედიაეფექტურობა უპირატესად დაფარვის ზონის სივრცული პარამეტრებით განიზომება და ნაკლებია ინფორმაციული სისავსე და ხარისხიანობა.

უკეთეს მდგომარეობაში ვერც პრესაა. გავრცელების პრობლემურობის (!) გამო, ცენტრალური პრესის პოზიციები სუსტდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცენტრალური პრესა ვერ აღწევს რეგიონებს და მხილოდ დედაქალაქის პრესად რჩება (რეგიონული პრესის გავლენა თვით რეგიონების ინფორმაციული სივრცისათვისაც კი უმნიშვნელოა). ამის გამო მკვეთრად მცირდება ცენტრალურ გამოცემათა ტირაჟი შემცირების ერთი მიზეზი სპეციფიკურ აუდიტორიაზე ორიენტირებაც არის).

სოციოლინგვისტური კალებების გარეშეც, ემპორიული დაკვირვებითაც, ცხადია ერთიანი ქართული სტანდარტული (სალიტერატურო) ენის ფუნქციონირების პირობებისა და შესაბამისად მისი ნორმების რღვევა. ქართული საშუალო ენა სრულიად არაერთგვაროვანი ხდება არა მხოლოდ რეგიონებში, არამედ თვით დედაქალაქიც. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სოციალური და ტერიტორიული დიალექტების ლექსიკით გაჯერებული მეტყველება არა მხოლოდ ყოფით დონეზე, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დონის საკარო მეტყველებაშიც. უფრო დამაფიქრებელი კი ის არის, რომ ეს „აღრეული“ მეტყველება ღრმად შეიქრა პუბლიცისტიკისა და მწერლობის ენაში. პუბლიცისტიკაში, ერთი მხრივ, უცხოენოვანი ლექსიკა მკვიდრდება, მეორე მხრივ, სოციალური და ტერიტორიული დიალექტების ენობრივი ფორმები და, რაც მთავარია, მეტყველების სტილი. ენობრივი კულტურის აშერა დაქვეთვებასთან ერთად საფრთხე ექმნება ნაციონალური ენიბრივი ცნობიერების პარადიგმას.

ქართულ სინამდვილეში აღნიშნული აღრეული მეტყველებით გაჯერდა ე.წ. თოქ-შოუების – გასართობი სატელევიზიო პროგრამებიც. აქ სოციალური და ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა და მეტყველების

სტილი თოთქოს ენობრივი და ყოფითი კოლორიტის შექმნას ემსახურება, მაგრამ სინამდვილეში, და ეს ყველაზე დამაფიქრებელია, იმაზე ქვეტექსტურ აქცენტირებასაც შეიცავს, თითქოს დრო ობიექტურად ცვლიდეს ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს – ქართლ-კახურ მატეველებას სხვა ტერიტორიული (განსაკუთრებით დასავლური) დაალექსტებისაკენ სიმბიოს ცენტრის გადაწყვით; მეორე მხრივ, თვალში საცემია ქართული წარმოთქმის (აქცენტუაციის) ტრადიციული პარადიგმის რღვევაც, ჩვენი ენისათვის უცხო და შეუფერებელი წარმოთქმის (ნათევამის აღმავალი აქცენტუაციით დაბოლოება) დამკიდრება.

ნაციონალური ინფორმაციული სივრცის რღვევას გარკვეულწილად განაპირობებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, კომიტეტები, ფინდები, უწონალისტების უფლებათა თუ პრესის თავისუფლების დამცავი ორგანიზაციები, რომლებიც როგორც წესი, უცხოეთიდან ფინანსდებიან („ევრაზიის ფონდი”, „სოროსის ფონდი”, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო განვითარების საგანტო და ა. შ.) და ანგარიშს ნაკლებ უწევენ ნაციონალური ინფორმაციული სივრცის ინტერესებს.

ინფორმაციული სივრცის ერთანობის რღვევის პროცესს ხელს უწყობს ისეთი მოვლენების დემონსტრირება, როგორიცაა ინფორმაციის გავრცელების უფლებისა და სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევები, ძალადობის, პორნოგრაფიის გავრცელება, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, ტელეკომუნიკაციური და კომპიუტრული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ისეთი ხელმისაწვდომობა, რომლებიც იძლევა რადიოს, პრესის, ტელევიზიის, კომპიუტერული ქსელების საერთაშორისო პროვაიდერული კვანძების ბაზური კონფიგურაციების შექმნის შესაძლებლობას, რის საფუძველზე იზრდება მიზანმიმართული (ქვეგამზღვირი) ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, რომელსაც ზიანის მოტანა შეუძლია ნაციონალური ინტერესების ბევრ სფეროში.

ნაციონალური ინფორმაციული სივრცის მნიშვნელოვანი სუბიექტი ხდება ელექტრონული მედია, სოციალური ქსელები, ფრილანსერული მასკომუნიკაცია, რომელთა ინფორმაციული ფუნქცია სულ უფრო მნიშვნელოვანდება. ინფორმაციული სივრცის მთლიანობაზე მათი გავლენა ცხადყო თუნდაც თანამედროვე აფრიკასა და არაბულ სამყაროში მიმდინარე ამბებმა.

ახალი მედია განსაკუთრებულ პირობებს უქმნის სახალხო ფორუმს, რადგან სოციალური ქსელების ფუნქციონირება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო, მთლიანად პროფესიული ეთიკის ნორმებით რეგულირდება. აშკარაა, რომ სამთავრობო ორგანოების არჩის – „ელექტრონული მთავრობის“ – გჩენა, რომელიც მოქალაქეთათვის ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, მათ წარმომადგენლებთან სახლიდან გაუსვლელად ვირტუალური დაილოგის საშუალებასაც უქმნის. ეს გარემოება აუცილებლად გამოიწვევს მოქალაქეთა ჩართვას საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაუსტიურებს მოქალაქეობრივ ცნობიერებას და ქვენის საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის შეგრძნებას.

სახელმწიფო და სახელისუფლების ორგანოების საქმიანობაში ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ერთი მხრივ, ხელისუფლების ორგანოებიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გადაცემულ ინფორმაციულ ნაკადებსაც გაზრდის და ამით მათ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შედარებით კოველმხრივი და სრული გაშექების საშუალებას შეუქმნის, მეორე მხრივ, ინფორმაციის ახალი ნაკადები ქსელური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებას შეუწყობს ხელს. ხელისუფლების ორგანოები, ძირითადთან ერთად, შეიძენ დამატებით ფუნქციას – მასობრივი ინფორმაციისა და მასობრივი კომუნიკაციის კონკრეტულ სახეობადაც გადაიქცვათ და მხოლოდ მასობრივი ინფორმაციით სხვა საშუალებებთან კონკურენტულ ბრძოლაში ჩაებმებიან, არამედ ინფორმაციის პირველწყაროს უფლებებსაც შეიძენ, ხელისუფლების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ჟურნალისტური პროფესიული ეთიკის ნორმათა დაცვის ეფექტურ მონიტორინგსაც უზრუნველყოფებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ვინმეს მხრივ საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების კონტროლსაც განახორციელებენ.

3. დასკვნა

განხილული ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართული მასობრივი ინფორმაციისა და მასკომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, დასავლურ (ევრო-ამერიკულ) მასკომუნიკაციურ დირექტორებზე დაფუძნება, მეორე მხრივ, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გაჩენა. ამ მოვლენების

საფუძვლებზე იცვლება თანამედროვე ქართული ინფორმაციული სივრცე, ირღვევა მასშედის ინფორმაციული მონაპლობიზმი (საინფორმაციო ბაზარზე ჩნდება ახალი მოთამაშე “ელექტრონული მთავრობის” სახით), იცვლება მასკომუნიკაციის ენა და მეტყველება: პუბლიცისტიკის ენაში გზა ესწენება ტერიტორიული და სოციალური დიალექტებისა და უცხოენოვანი ლექსიკის ერთეულებსა და მეტყველების სტილის გამოვლენებს.

ლიტერატურა:

OM

MASS MEDIA AND MASS COMMUNICATIONS IN PUBLIC MANAGEMENT BY INFORMATION TECHNOLOGIES

Djagodnishvili Temur, Shonia Otar, Odisharia K.
Georgian Technical University

Summary

In the function of mass communication and modern Georgian mass media there is establishing Euro-American media-standards and professional principles. As the result of the functioning of the newest informational-communicative technologies there were formed such definitions as “electric commerce”, “net economics”, electrical government” and etc. They collapsed the century monopoly of mass media in the fields of creating and spreading the news. There were established the alternative channels of creating the information as the channels of “electronic government” and informational system streams. The mentioned tendencies completely changed structure of informational space and dissolved its unity. One of its revealed points was the collapse of traditional standards of publicistic language, territorial and social dialects and forming establishing the dictionary of foreign language.